

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“  
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41  
განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ივლისის #565-12 (#20630/25) კორესპოდენციით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოიგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესული (N11/398, 26.07.2019 წ.), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილი (N01-01-10/3767, 26.07.2019 წ.) შპს „ლამინი ჯგუფი“-ს წევრი კომპანიების - შპს „ლამინი“-ს და შპს „Lamini G“-ს წერილების (N16, N56, 23/07/2019წ.) თაობაზე, შპს „ბათუმის დინამო“-ს 100%-ანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით, ნაცვლად შპს „Lamini G“-სა (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24.05.2019წ. N41 განკარგულება), შპს „ლამინი“-ზე გადაცემისა და სარგებლობაში გადასაცემი უძრავის ქონების (თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით) დაზუსტების შესახებ. საკრებულომ ითხოვა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი შემჭიდროებულ ვადებში წარედგინოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად (ანალოგიური წერილები შპს „ლამინი“-სა და შპს „Lamini G“-ს მიერ უშუალოდ წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაშიც: #18; 23.07.2019; #20042/25 და #58; 23.07.2019; #20040/25)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წერილში აღნიშნულია, რომ 2019 წლის 19 ივლისის სამინისტროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2019 წლის 19 ივლისის #1731/02 კორესპოდენციით გადაიგზავნა შპს „ლამინი“-ს (ს/ნ 445533469) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია შპს „დინამო ბათუმი“-ს (ს/ნ: 245622205) 100%-იანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „დინამო ბათუმი“-ს 100%-იანი წილი პოზიტიური პირობით (შპს „Lamini -G“-სათვის 49 წლის ვადით მართვის უფლებით გადაცემის მიზნით) საკუთრებაში გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. ამავე განკარგულების მე-2 პუნქტი ითვალისწინებს შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალიდან გამოტანილი უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 49 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2019 წლის 24 ივლისის შეიდა შპს „ლამინი“-ს განცხადება (რეგ. N01-01-09/5569) რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „Lamini -G“ (ს/კ 448388708) და შპს „ლამინი“ (ს/ნ 445533469) „ლამინი ჯგუფი“-ს წევრი კომპანიებია. თავდაპირველად განცხადება შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონების განკარგვასთან

დაკავშირებით შემოტანილი იქნა შპს „Lamini -G“-ს სახელით, თუმცა შემდეგ „ლამინი ჯგუფი“-ს გადაწყვეტილებით სპეციალურად დაფუძნდა შპს „ლამინი“ შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონების განკარგვის პროცესში მონაწილეობის მიზნით. ამიტომ შპს „ლამინი“ N01-01-09/5569 კორესპოდენციით ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებაში პოზიტიური პირობა შეიცვალოს და შპს „დინამო ბათუმი“-ს ქონება სამომავლოდ განიკარგოს არა შპს „Lamini -G“-ზე, არამედ შპს „ლამინი“-ზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „Lamini -G“-ს 2019 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი N01-01-09/5568 კორესპოდენციით გაზიარებულია შპს „ლამინი“-ს პოზიცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წერილში ასევე აღნიშნავს, რომ შპს „ლამინი“-ს ზემოხსენებული განცხადების თანახმად, ანგისის საფეხბურთო ბაზის განვითარების რეგულირების გეგმის მიხედვით ესაჭიროება შპს „დინამო ბათუმი“-ს საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 4465,7 კვმ. (წერილში შეცდომითაა ნაჩვენები 2889,7 კვმ) შენობა-ნაგებობების (საერთო ფართი) და მათზე დამაგრებული 72626,0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) მხოლოდ ნაწილი, კერძოდ 58613 კვ.მ. (წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის მიხედვით). ამიტომ სამინისტრო ითხოვს დაზუსტდეს პირობა შპს „Lamini -G“-სათვის უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის ნაწილში. დარჩენილი ნაწილი - 14013 კვ.მ. ფართი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიკარგება სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით. სამინისტრო ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის #41 განკარგულებაში შესაბამისის ცვლილებების შეტანას - შპს „Lamini -G“ შეიცვალოს შპს „ლამინი“-თ და დაზუსტდეს სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონება (თანდართული სიტუაციური ნახაზის მიხედვით).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შპს „Lamini -G“-ს შპს „ლამინი“-თ ჩანაცვლების ნაწილში ცვლილებების შეტანას. რაც შეეხება სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების დაზუსტებას, მსგავს ცვლილებებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ვერ განახორციელებს. რადგანაც მიწის ნაკვეთი არსებული სახით შეტანილია შპს „დინამო ბათუმი“-ს კაპიტალში, იგი წარმოადგენს მის საკუთრებას, ხოლო შპს „დინამო ბათუმი“-ს 100%-ანი წილი უკვე გადაცემულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

შპს „დინამო ბათუმი“-ს მართვის უფლებით გადაცემის საკითხში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის ხელშეწყობა, ქართული ფეხბურთის კომერციალიზაცია.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს, შემცირდება ხარჯვითი ნაწილი.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;  
შპს „დინამო ბათუმი“;

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.


ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის  
მუნიციპალური ქონების და სერვისების  
მართვის სამსახურის უფროსის  
მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

\_\_\_\_\_ აგვისტო 2019 წელი

ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. განკარგულების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვა: „შპს „Lamini-G“-სათვის (ს/კ 448388708)“ შეიცვალოს სიტყვებით: „შპს „ლამინი“-სათვის (ს/კ 445533469)“.

2. განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვა: „შპს „Lamini-G“-სათვის (ს/კ 448388708)“ შეიცვალოს სიტყვებით: „შპს „ლამინი“-სათვის (ს/კ 445533469)“.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე